

ახალი

# ქინქარი

ქინქარი  
ა. ა.

საბუნების  
ალმანახი

გამოვა დრო-გამოშვებით. მასალები გამოიგზავნება „შრომის“ სტამბაში, ალმანახისათვის.

16339  
14 571



## შვილი ჰკლავს მამას!

შენ, მამაჩემო! არ ხარ ღირსი მეტი სიციცხლის...  
წყევლას გითვლიან,—აბა კარგათ დაუგდე ყური:  
—ძმა ძმას წაჰკიდე, მეზობელი გადაიმტერე  
და გამეფე კაცთა შორის მტრობა და შური!..  
მე შენმა ქცევამ ბოროტება აღმოძრა გულში  
და განვიძრახე: ჩემის ხელით მოგკვეთო თავი!  
დეე გაიგონ—შვილმა მოჰკლა თავისი მამა,  
თუბცა პირველი კი არ არის ჩემი ამბავი.

ბელზებელი.

ქველ წელს.

შარშანდელი ხარ სტუმარო,  
შენი ნებითა წვეული,  
მოხვალ და აღარ მიდიხარ,  
უნამუსობას ჩვეული!

ბავშვები მომიტყუილე,  
რალაცა ხილვეულითა,  
შაქარ-ლამისა პურითა,  
მრავალი ტკბილეულითა!

ეგ შენი ოინ-ხრიკები,  
სწორეთ რომ გასაოცია!  
წადი და თანვე წაილე—  
შენივე მოსალოცია.

სუფრა რომ ნახე გაშლილი,  
იმითი გაიხარევი?  
შენ გამოძეხი და ჩვენ კი,  
ულმერთოდ გაგვამწარევი!

არ წახვალ? პანლურს ამოგკრავს,  
შენი მორჩილი ყმაწვილი,  
ის სპეტაკია სულითა,  
არა შენსმევით გახრწნილი.

მისთვის ღია მუდამ ჟაჟს  
ჩემი სახლისა კარები,  
იმისგან უნდა გავიგო—  
ამბავი გასახარები.

შმაგა

ს ა ა ს ა ლ წ ლ ო.

(მართალი და არ-საწყენი)

I.

ქართული მწიგნობრობა სარგებლიანს გზას და-  
სდგომია...

საქართველოში ამ გმირთა წილში ორი მილი-  
ონი მცხოვრები ითვლება! მათგან ერთი მილიონი  
მგოსან-პოეტი, აპოლონის ძენი. ნახევარ-მილიონ-  
ნი: მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი დრამატურ-  
გი... ხოლო კიდევ ნახევარი მილიონი მკითხველი  
ამ ათი წლის წინედ, ქართულ ჟურნალ-გაზეთების  
მკითხველს დიოდენის ფარნით ეძებდნენ!.. დღეს-კი  
რას ვხედავთ?—პოეტები,—როგორც ჩეჩქი, ისე  
ჰვანან საქართველოს... მაგრამ ზებედურობა ის არის,  
— რომ თავისი სამშობლოს მნიშვნელობა ვერ შეუ-  
გნიათ და „ნარუსა“ „თაბრიკა“ „მაშინკებს“ უჟ-  
ღერენ ცით მონიჭებულს ჩანგს... გასამართლებელი  
საბუთიც აქვთ... მაშ, რა ქნან, მასალა რომ არა  
აქვთ!.. მაინც ვუსურვებთ წარმატებას.

II.

მეორე ფრიად სასიხარულო ამბავი!.. საქარ-  
ველოში რა ამბები ისმის?!..

...ახალი რედაქცია... ახალი გაზეთი, ახალი  
ჟურნალი... ახალი რედაქტორი ჩემის გამოანგარი-  
შებით მიმავალ წლის პირველ თვის დამლევამდე 99  
გაზეთი იქნება, ჟურნალი კი— 33...

გაიხარეთ მგოსნებო... პოეტებო... რომანისტე-  
ბო... კრიტიკოსებო... პუბლიცისტებო... დაჰკარით  
ბუქსა და წინწილ-ებანსა თქვენსა.. შესწირეთ  
მსხვერპლი აპოლოს, არ დაგაკლოთ მუხა . . . .  
რამდენი უსაქმო მგოსანი იშოვნის საქმეს!... .

პატარა გოგია.

ბეჭტიას მილოცვები

ქართულ გაზეთებს:

- „მერცხაღს“. შენ მერცხალო, ცელქო ჩიტო,  
გლახა დროზედ გამოფრინდი!  
სუსხი არის, ყველგან, ყინავს  
და სიფრთხილე გმართებს დიდი.  
მახსოვს ბევრი, შენებრ ცქვიტი—  
მაგ ქარ-ბუქში ჩამარხული...  
ზამთარი კი სხვას ეკუთვნის,  
შენი არის — გაზაფხული.
- „სსს. გაზ.“ ვერაფერი სახალხო ხარ,  
არ შეგფერის ეგ სახელი;  
უნდა გერქვას: „საქართველოს  
ძველი ბატონობის მცველი“.  
„სუხარნიკებს“ პოეტად თვლით,  
თქვენი მოაწონთ, სხვებს კი სცინებთ!  
და ამ რიგათ, განუწყვეტლივ  
საქართველოს დაქვითინებთ!
- „იმერეთს“. შენი სახელი გიმტკიცებს,  
რომ ველარ წახვალ შორსაო;  
მოკლე ფეხი აქვს ყოველთვის —  
სიყალბესა და ქორსაო.  
ვერ გამოვრდები მაგ წუმბეს,  
დაეწვანები ღორსაო!  
ისე სამასხრო ვახდები —  
წამოაკიდებენ ჯორსა;
- „თემს“. თუმც თავადური რიხი გაქვს,  
მაგრამ არ შეგწევს ძალოა;  
სიტყვით ბევრ რასხესი აკეთებ  
ღმერთმა თუ დაგაცალოა.  
ფურცლები ისე ფართე გაქვს,  
როგორც ლიხავისი ჭალოა  
და ერთ წერილით გაამსებ —  
თუ ვინმე აგეშალოა.
- „ახალ დროებს“. მწერლები ბლომათ გყოლია,  
მაგრამ არავინ წერავსო!  
და ვინც რომ შინაურია  
ცარიელ გუდას ბერავსო!  
რედაქტორი თუ ერთი გყავს,  
გამომცემელი — ორიო!..  
თუ რომ მეტს არ გაიზრდები  
მაღე წავიღებს ქორიო.

„ქართლს“ სულ ორას ფურცელს გბეჭდავენ,  
წევრების საკითხავათო,  
და ქართლი, ისევ ბურჯსში  
გახვეულია შავათო.  
წინად რომ იმედოვნებდა  
ის თქვენი რედაქტორიო!  
აღბათ თბილისი ეგონა,  
იმას—თავისი გორიო!..

ჩვენს „ამანასს“. შენ სხვებსა სცინი—თითონ ხარ  
სატირელ-საცინელიო,  
თანამშრომლებიც გყოლია—  
სუყველ საწინელიო!..  
ყველა ფეხებზე ჰკიდიათ—  
შინაურ-გარეულიო!..  
სოფლისა გაიძვერებსა  
სულ დაუხეთქეს გულიო?

ბეჭეტი.

ძველსა და ახალ წლებს.

ბევრისათვის იყავ ავი,  
კოდვით საესე ძველო წელო,  
ბევრსა შეაძულე თავი  
ულმობელათ დამჩაგვრელო,

არ მომსწრია მე ჩემს დღეში,  
შენისთანა ცული წელი,  
არ ყოფილა რა თქმა უნდა  
და არც შემდეგში მოველი,

წყეული იყვეს მუდამა  
ყველა შენფერი წელია—  
ბოროტი საქმის ჩამდენი,  
სიმართლის დამჩაგვრელია,

უბედურების მშობელი,  
ქვეყნათ სისხლისა მღვრელია,  
დატანჯულისა ხალხისა—  
უხვად საფლავის მთხრელია!

ახლო წელო არ შეცდე—  
არ გაჰყვე ძველის ნავალსა;  
შენ სხვა გზით უნდა იარო—  
ხალხს უნდა მიჰყვე მაშვრალსა,

უნდა დასთესო ამ ქვეყნათ  
მშვიდობა, ბედნიერება,  
მუშაკს უსურფო სიკეთე—  
წინ სელა და გაძლიერება.

თ. ჩანჭაძე-მადლაძე.

„რწ მიუქარე მაძივიდა!..“

(ვუძღვნი გ. გელიკურაშვილს)

(ხეზო, გამოდის სტენაზე, თაგ-პირ დასისხლანებუდა).

ხ. ჩო. კაცო, ეს რა ოინი მომივიდა ერთი ყური  
დამიგდეთ და ვა! ამისთანა მიუქარე თავის დღეში  
არ მომსვლია! (ბაღდადით თაგ-პირს იწმენდს). მოვ-  
დივარ ფოშტის ქუჩაზე, უკან ბიჭი კარზინკით მომ-  
დევს, ბაზარში მივდივარ რაღა, რა არის ერთი რა-

მე ემე ვქნა „პრავიზია“ ვიყილო, რას იზამ ძმავ,  
ხვალ ახალ წელიწადი დღეა, ეს ოხერი დღე ერთი  
ბიაბრო დღეა, ვინც არა მგონია მოგადგება, „შე-  
მოვდგი ფეხიო!“ აი გაგიწყრეს ღმერთი! ერთი მკი-  
თხე, გიცნობ, მიცნობ, რომ ფეხი შემოდგი? ჰამა  
რას იზამ? ეს ქართველები, სწორეთ დასაღრჩობი  
არიან!.. მახლას, ფოშტასთან მივედი თუ არა, ერ-  
თი ფინიკულერი ეგდო, (რელიკული). ის ოხერი  
ისეთი გატენილი იყო, როგორც მოთლის გულა  
რას იზამ? კაცის თვალი ხარბია, გავბრიყვდი რაღა,  
გავბრიყვდი და ავიღე! ერთიც ვნახოთ, სად იყო სად  
არა, თითქო ბულვარიდან ამოვარდაო, ერთი გო-  
როლოი არ დამადგა თავზე! ვა! ისეთი გავშტერდი,  
როგორც შელოცვილი ვირი! „ეგ რა არისო?“ „ვა,  
რა უნდა იყოს. აი ეს არის რაღა, ხომ არ მომიპა-  
რავს მეთქი“ „არა, წამოდი პოლიციაში, იქ გა-  
შინჯავენო“. ვებნები: „ტო ახმახ, პოლიცა რათ  
გინდა? წავიდეთ ჩუმათ, ერთ დუქანში შევიდეთ,  
რაც შიგ იყოს, ნახევარი შენ, ნახევარი მე, სხვა  
რაღა გინდა?“ „ზან ჩუნის! ვის ებნები? წამათრია  
პოლიცაში... ბიჭს უთხარი თუ წადი, მინამ მე მო-  
ვალ მანდ თათარ ვანუას დუქანთან მომიცადე მეთ-  
ქი... პოლიცაში „დღეურნი“ „აკლადნოჩი“ იყო,  
გოროდოვოიმ უთხრა „ეს ფუნეკულერი ამ კაცმა  
იპოვა და მე თქვენთან მოვიყვანეო! მითომ ერთ-  
გულობაზე დადო თავი რაღა! ოსი იყო და! ამათ  
რასაც არ ასწავლი, სულ იმ ჰკუაზე გაივლიან! „დღე-  
ურნი“ აიღო ფუნეკულერი, ერთი სხვა ნაირათ  
ფერი ეცვალა, წამოდი აქაო, შემიყვანა პრისთავ-  
თან და უთხრა: ეს ფუნეკულერი ამ კაცს უპოვნე-  
ო და ამა და ამ გოროდოიმ მოიყვანაო, თითონ  
წავიდა... პრისთავმა მითხრა: „გოროდოის, რომ არ  
ენახა, უნდა შენთვის წაგელო შე პატლეცოვო!“  
„ვა, არა ალაჯანი სუბ-სარქისის მადლმა! სად უნ-  
და წამელო, პირდაპირ შენთან უნდა მომეტანა მე-  
თქი... ალაჯანი ნახე რაღა რამითია შიგ, გავყოთ  
რაღა, ამ ორი კაცის მეტი ხომ არავინ არის!..  
„მოიცაო!“ გახსნა ის ოხერი ფუნეკულერი; ვა,  
ისეთი დაიღრჩო, როგორც ძველი ბადრიჯანის...  
„ჰაი შე ვირის თავო შენაო, ეს რა „ფოკუსი“ გა-  
გიკეთებიაო?!“ ჩამოიღო მათრახი, ისეთები მირტყა,  
რომ სულ თელეთის მონასავით ვიგრიხებოდი... ვე-  
ბნები: „ალაჯან წილი არ მინდა, ოლონდ ნუ მცემ  
მეთქი, ჰამა ვის ებნები! აიღო ის ოხერი ფუნეკუ-  
ლერი და შიგ სხეში მომარტყა! ვაი, ვაი, რა ვნა-  
ხე!.. თურმე ის ოხერი ფუნეკულერი ცხენის ნეხვით  
არ ყოფილა სამსე!.. რაღას ვიზამდი, დაუწოქე,  
ვეხვეწები: ალაჯანი შენი ქიოიმე, ჩემი ბრალი ხომ  
არ არის, მე ხომ არ ემე ვქენი ეგ ოხერი, მე რა  
უყო? გამიშვი, ნუ მცემ მეთქი!.. საქმე არა გაქვს?

დაუძახა დეჟურნებს, წამავლეს ხელი, ისეთი დღე  
დამაყენეს, რომ ის იმოდენა კიბეები სულ რაზა-რუ-  
ხით ჩამბრახუნებინეს ეხლა არ ვიცი, ესე თავ-პირ  
დამტვრეული, როგორ ვეჩვენო ხვალ სტუმრებს!..

მ. ლელაშვილი.

სახალწლო მიღობები

მეგობრებო, მოგესალმით  
ვით თვისი ძმა ერთგულ ძმასა,  
გაგიყოფთ და გიწილადებთ  
განზრახვას და გულის თქმასა...  
ჯერ ვერ სძლია ჩემმა ბედმა  
ჩემს ბნელაში ჯაჭვით ბმასა,  
მაგრამ მაინც გულს არ ვიტყვ —  
სიბნელიდან გაძლევთ ხმასა!..

მოგილოცავთ ახალს წელსა  
შრომის შვილთ და შრომის მამებს,  
ალმანახის თანამშრომელთ —  
მუდამ დევნილთ განაწამებს...  
გისურვებთ თქვენს დღეგრძელობას  
ცხოვრებასთან შენახამებს,  
რომ ახალ-წელს მოეტანოს  
თქვენთვის, რაც თქვენს გულს აამებს!..

ა კ ა კ ი ს.

თუმც მეტის თქმა კი ეკუთვნის  
კრემლ-შერეულს შენს სიმღერას,  
მაგრამ რაც რომ უწინ მიტყვამს  
იმზე მეტს გეტყვი ვერას!  
ჩემი მუზა ვერ წინამძღვრობს  
ჩემს სურვილს და გულის ძგერას  
და იმიტომ საკადრისათ  
ვერ შეგიქებ სიმთა ჟღერას!..  
მაგრამ მაინც გისურვებ რომ  
სძლიო მჩაგვრელ ბედის, წერას  
კვლავ სიცხოველეს რომ ჰმატებდე  
ჩვენი ქვეყნის მიმქრალ კერას!..

ქართულ დეპუტატებს.

ვაშა მაგ თქვენს მისწრაფებას  
თქვენს დიდებულ სურვილ-ნებას,  
რომ გვასწავლით, გვიქადაგებთ  
ძმურ კავშირს და შეერთებას...  
მაგრამ მეტის-მეტათ ვკვირობ  
თქვენს მადურს მოქმედებას,  
რომ ერთმანეთს სამნი ძმანი  
თვალს კორტნით და აძლევთ ვნებას!  
მაშ ჩვენ როგორ ვასრულებდეთ  
თქვენგან ჩვენთან ნათქვამ მცნებას?!..

თბ. ქალაქის თავს.

„ენა ქართალ“ — „სიტყვა მართალ“  
ჩემო მოქიქიკე ბიჭო,  
თქვენებისთვის ვარდ-ყვავილო,  
სხვებისთვის კი ეკალ-ლიჭო,  
ორმა თეთრი მიტომ მოგცა  
რომ მესამეს გაულდრიჯო

და იმ ორში ბედ-ილბალი  
რომ მარტო ერთს მიანიჭო?!..  
თუ „თავი“ ხარ, თავს არ ჰშვენი  
უთაური ყოფა-ქცევა...  
სხვა ერების საწილოსის  
სასომხეთით გადაქცევა!..  
მაგ გვარ კოშკის შენებისთვის  
ფიქრობ არ ღირს ჯაფის წვევა,  
რადგან ახალ არჩევნებზე  
ხელ-მეორეთ დაიქცევა...  
ტრამვაის დირექტორს.

შავს მეწყერსა მივულოცავ  
ტრამვაისა ღირექტორსა  
უმფროსებთან გაიძვერას  
უმცროსთან-კი ოჩან ჯორსა,  
საწყალ მუშის გამყიდავსა  
იუდევის თანასწორსა,  
ქრთამებსა და შტრაფის ფულებს  
დათვივით რომ უსვამს ტორსა!..

სსს. „გაზ. რედაქციის“.

იქითაც ხარ, აქეთაც ხარ;  
არც იქით ხარ და არც აქეთ...  
ანდრონიკო... ჯერ რათ ლანძღეთ  
და ან შემდეგ რათ შეაქეთ?...  
ვიცი როცა თქვენს სალოცავს  
თქვენვე თავი მოანგრეთ  
და თქვენს სასმო წმინდა წყალში  
საწამლავი შეურიეთ!..  
ამიტომაც თქვენი ქცევა  
ამ ბოლოს დროს არ მაკვირებს,  
ბედაურს რომ წიხლებს ესვრით  
და კარებს რომ უღებთ ვირებს.

წ. კ. საზოგადოებას.

ნაანდერძებს ასი-ათასს  
ოცი ათასს დრაჰკანს მარჩილს  
ის ურიგებს მისს მეგობრებს  
ვასოს, ვანოს, კოტეს არჩილს  
და თუ ვინმე ფულს, ან მამულს  
შესწირავს და უანდერძებს;  
ეს იმას და იგიც ამას  
გონჩის ძაღლის სუნით ეძებს...  
მერე... ამ გვარ ღვაწლით მოსილს,  
ლენტით გვირგვინს მიართმევენ  
ნაანდერძებ ოქროებს-კი  
„ჩაშკა ლოშკებს“ შეაქმევენ!..  
ვაშა! ამ გვარ ძვარ-ფასს „ფირმას“  
ამ ჩაგრულთა მფარველ კრებას“  
ვაშა ამათს „დიბლომ“ — „პატენტს“  
განზრახვას და მოფიქრებას!..

თბ. ქართ. კომუნისა.

კარგი არის რაც რომ მიზნათ  
დაგიდევს და დაგისახავს,  
მაგრამ... შენგან აღზრდილები  
უმფროსებს, რომ სცემს და ლახავს  
შენს სახელს და შენს ღირსებას,  
ეგ დასცემს და გადალახავს!..

ქ. წ. გ. ამს. სტამბას.

შენ სადა ხარ ან ისინი  
სად არიანი...—არ გრცხვენია?  
რომ ორასი კაცისაგან  
მარტო ორი შეგორჩენია?!..

**ნო შრევიანიძე.**

**სახსალწლო კუბლეტები.**

ძველი წელი, საძაგელი,  
ძველ არხივსა ჩავაბარე,  
მივაწყველე, მივაკრულე,  
ქვა და გუნდა მივაყარე!

ახალსა ნორჩს, ჯერ უმანკოს,  
გულში ვიკრავ—ვენაცვალე,  
ავი მამის შეილი არის  
და წახდება ფეც მალე!

მარა, ეს ხომ შემდეგია,  
ენახვე, ისე არ მოვკვდები,  
დღეს კი მინდა—გუძღვნა ყველას  
სახალწლო კუბლეტები:

„თქმს“. ბევრსა კიდევ შენ ჯობიხარ,  
ხშირათ იცი მართლის თხრობა,  
კიდევ მისთვის დაგეკარგა—  
„მამულიშვილთ“ მეგობრობა.

„სახ. გაზეთს“. სჯობს გასინჯო არსენალი,  
საჭურველი დაგიძველდათ,  
ცოტა ბუხარს დაუბერეთ,  
თორემ ცეცხლი ჩაგინელდათ!

„იმერეთს“. რალა გიჭირს, ვისაცა გყავს:  
სილოვანი, ბელტი, ურო!  
სანამ უნდა ჩმახო, როშო,  
სანამ უნდა იფხაკურო?!

„სახსალწლო გაზეთს“ და „შრომის კავშირს“.

სწორეთ დროზე მოსწრებაა—  
თქვენი მიზან-იდეალი,  
პირნათლათ თუ გასწევთ უღელს  
დიდი გელისთ მომავალი.

„მერცხასს“. მსურს, რომ გულით მოგესალმო,  
მერცხალს, მაშვრალთ თანამგრძნობელს,  
ვაშა, ვაშა მალხაზ ფრინველს,  
გაზაფხულის მახარობელს.

სათათბირს. ვინ ხარ, კარგი რო იქნები!  
ვისი გზითა მოარული,  
შენი, არც ყოფნა ღირს რამეთ,  
არც—არ ყოფნის დასასრული.

ქ. ფოთს. შორიდანა მტერსა მოჰკლავ,  
ახლოიდან—მოყვარესა!  
ერთხანს ნამუსს ვინ გაგიგებს  
თავი თუ არ მოგპარესა.

ბათუმს. მუშა იყავ მით ვარგოდი,  
ესეც არ ხარ, რა იქნები?  
აპეკუნებს თუ არ შესცვლი—  
გატყავდები, გაიქნები.

ოზურგეთს. ან და კანონს არ გახმარენ,  
ან არ გაქვან თავის ბელი,  
ვაი, ვაი ვის ხელთა ხართ!  
ვიქონიოთ რამ იმედი?

ლანჩხუთს. ცოტა რამე გააკეთე,  
ბევრი კიდევ გენატრება.  
თუ რომ გული კი იგულეგს  
აბა რა არ გელირსება?

სახსალწლო მასწავლებლებს.

მარტო ა, ბ, ნუცა ღუშკა—  
ცხოვრებაში არა კმარა!  
გაიღვიძეთ, სხვაც რამ ქენით,  
სანამ გირტყან ყურში ზარა.

სოფლის მამასახლისებს.

ჯამაგირმა სულ გაწყინათ,  
ძველებსავით ფანა-ფუხობთ!  
გზები, გზები გააკეთეთ,  
ნუ ზარმაცობთ, ნუ ცუდლუტობთ!

„აღმანასს“. გასულ წელში ბევრი ვსწერეთ,  
ბევრიც ვილიდინეთ ძმურა,  
ყურ-დიდაზე გადააჯდა—  
ვინც უმართლოთ დაგვემდურა!

მეიჩქარე, გეიმატე,  
სახენდი გყავს ბევრი ურა...  
აწ ყველასთვის მომილოცავს—  
კალანდაა—ურა, ურა!\*)

**შხანკოლა.**

\*) შხანკოლასაც მიუგოდცავთ,—  
მავრათ იფოს, მისებურა,  
გაიძუქვას და შმაიკეპი —  
აჭყაუფოს რეგორც ტურა.

ბეშტია.

**წ გ ი ზ უ რ ტ ე ბ ი.**

**1.**

გასულ წელს ჩვენი მწერლობა სამზღვანს გადასცდა.  
არც ერთი გაზეთი არ დაჩენიდა წრეგანდელ არჩევნების  
დროს, რომ თავი სერიოზულად დაეჭირა. ფედერალის-  
ტები თავის კანდიდატებს და დეპუტატს აღმერთებენ,  
სოციალ-დემოკრატები კიდევ თავიანთსა და არის ერთი  
ჯიუტობა, შენ-ჩემობა. თავიანთი ორგანოები სულ ამ  
არჩევნების კინკლავობასა და ღანძღვა-თრგვანს მოანდომეს.

ჩემის აზრით შეუცდომელი და უცდომელი არავინ  
არ არის. ვუგლავ ზარტიის წევრი თუ წარმომადგენელი  
დაუშვებს სოფლმე რამე შეცდომებს, კანნი ვართ, მაგრამ  
განა ადარებს რომელიმე მათგანი—დამნაშავე ვარო?!

რაც მათ ორგანოებში ღანძღვა-გინება ამოკითხა  
მკითხველებმა, იმას შემდეგ ჩვენი საოხუნჯო აღმანასები  
არაფრათ უნდა მოსჩვენებოდეთ, მაგრამ ჩვენმა აღმანას-  
სებმაც დიდი აღიქმითი აყენა ყოველ-კუთხივ და ტექს-  
მის საყვედურებიცა და მადლობაც.

შეიძლება ბევრ მართალ ზიარებს შეეხეთ უმართო-

ბულოთ, რაც დიდათ საწუენია ყველასათვის, შეუტდომე-  
ლი არც ჩვენა ვართ, როგორც მოგახსენეთ, სოლო რა-  
დესაც გამოიჩვენებს სიმართლე — სხვებისათვის არ გავვი-  
უტდებით და ჩვენვე შევასწორებთ ჩვენს შეტდომებს.

რასაკვირველია, ჭინჭარი რომ წაუსვას ვინმეს ცხვირ-  
ზე — მტუენანი იყოს თუ მართალი, ყველა დაიჭინჭება და  
მორთავს ღრიალს, ჩვენ ეს არ გვივივინს, სოლო გვა-  
კვირვებს ზოგიერთ ვითომდა სერიოზულ გასუეთის ამბა-  
ვი, რის ბეჭდვას ბედავენ თავიანთი ფურცლებზე და  
არც წითლდებიან ამ რეაქციის სიბნელებში! აიღეთ მა-  
გალითად „იმერეთის“ ნომერი, რომელშიდაც ვიდაც,  
სოროდან ასდად გამომდვინალი, შედამიას ჩამომავალი  
„სოზიკა“ მოგვითხრობს თავის (ე. ი. ბუს) თავგადასა-  
ვალს და ამბობს: „სოციალ-დემოკრატები მაღე ბუსავით  
დაემალდებიან ხალხს და შეძვრებიან თავიანთი სოროში,  
რადგან მათი ზროგრამა მუშებისთვის და გლეხობისთვის  
სრულებით არ არის შედგენილი და ზურიშკევიჩისებური  
უფრო არის“.

ამ სიტუეების თქმის ყოველთვის ვერ გაბედავდა  
„იმერეთის“ „დურმიშხანები“ და დღეს ყველამ იცის თუ  
რის ბრალია მათი გაბედულობა. სიბნელებში ყველა მანე  
ქვემდრომი გამოცოცდება სოლმე და უშიშრად დაიწყებს  
თარეშობას. სწორეთ ამისთანა ხალხზე ითქმის: ჩემი  
შენ გითხარო.

ჩვენ არ ვიცავთ სოციალ-დემოკრატულ ზროგრა-  
მას. არც მათი ბედავები განხვავართ და არც მათ გაველე-  
ნის ქვეშ ვიმყოფებით, როგორც ეს ჭკონია „სოზიკასა“  
და მის ორგანოს.

სოციალ-დემოკრატებს თავიანთი გამოცემაც აქვან  
და არც ჩვენი დახმარება სჭირდებათ თავისი ზროგრამე-  
ბის დაცვაში. ეს კარგათ იციან თვით „იმერეთის“ ბუ-  
ებმაც, მაგრამ რაკი გამედაობა შესწევთ, რაც უნდათ  
იმას წამოროშავენ სოლმე.

ჩვენი აღმანასი კერძო გამოცემას და არა რომელი-  
მე ზარტიის, ამიტომ სრული უფლება აქვს მის გამომ-  
ცემელს, საითაც დაინახავს სიმართლეს, სწორეთ იქით  
გადიხაროს და მტუენანი ზირების საწინააღმდეგო მასა-  
ლები მოათავსოს თავის ზარტანს აღმანასში.

თუ ხშირად „სოზიკას“ და მის მიმდევრებს გწვით  
კანი ჩვენი აღმანასებით, აღბათ დამსახურებულდ აქვან  
ხალხის წინაშე ავ-კაცობა, რომ ყოველთვის მათი უხე-  
ობის ამბავი მოგვდის დაბა-სოფლებიდან.

ჩვენ კვალად ვამბობთ, რომ ყველა ზარტიებში მო-  
იხრება ცუდი კაცი და სწორეთ ამ ცუდი, მელა-კუდა  
კაცის ამბავს რომ გავიგებთ, ზედ ცხვირზე და წაუსვამთ  
ჭინჭარს და მწვავე შოლტებით ვასტუნავებთ.

ჩვენი თნამშრომლები, მართალია ვერ დაედრება  
თქვენს „დონკიხოტებ“ და ვერ წამოროშავენ ისეთ მარ-  
გალიტებს, როგორიც თქვენს „სერიოზულ“ ორგანოში  
იხრება სოლმე.

ტუედათ იხემებთ მშრომელი ხალხისა და გლეხ-  
ბის დაცვას ზარტანებო! მერწმუნეთ, რომ ამ წამსდარ  
დროშიდაც სხვა კედრით არის ხალხის სიმზატია და არა  
თქვენკენ. არ შეგნებათ ყოველთვის „სოზიკებო“ ეს  
დრო. დღეს კი ეკვასებით გლეხ-კაცობას და მუშებს  
ფესებზე, მაგრამ მოვს დრო და გეტელავსთ მათივე  
მძლავრო ფესები როგორც მანე ბადასს, სოლო დღეს კი  
აკრე მოგიმღებებ:

ნეტა რას ჩმასავ „სოზიკავ“!  
ვინა გვავს მოსატუეები..  
განა მშრომელი გლეხობა  
თქვენსათვის არის ურუები?  
ჩვენთან რა უნდა ჯაშუშებს?  
თქვენს მხარეს მოიეთხეეთ,  
ბნელებში, რომ გარეთ მოცოცავთ,  
სინათლით — უკან იხეეთ!..  
მეტო რა მოკეთხევათ,  
ვინ გიდავთ სათავეშია?  
(ძალები მიესეკიან,  
საითაც მკვდარი ლეშია!)  
„სოზიკავ“ შენი მოსარჩლე,  
აღბათ მკვდრებში თუ სწერია,  
თორემ რაც წამოგინახავს,  
ზაბ რა დასაწერია?!

კვირხილა.

ზოგიერთ მასწავლებლებს.

ვაშა, ვაშა თქვენს გმირობას,  
დაგისახავთ მრწამსი დიდი,  
რომ შეიქმნეთ მოლალატი,  
გაიძვერა, ცრუ და ფლიდი.  
ამნაირი მოქმედებით —  
გაგიღვიათ თქვენთვის ხიდი!  
ასე არის, დროი მეფობს,  
ვი გიდი, ვი გიდი!  
სად არს წმინდა სამსახური!  
სად არს წმინდა სიყვარული!  
ბოროტებით გაქვითილო  
თქვენი სული, თქვენი გული.  
ეს შექება მოგიძღვინი;  
გაიგონეთ ჩემი თქმული;  
თქვენისთანა მოღვაწის გზა  
ქვეყანაზედ იყოს კრული.

ბუჯგუტი.

სად წავიდე ახალ წელს!

მე ვერ წავალ ქუთაის,  
სწორეთ გითხრა უნდა ის,  
რომ იქ წასვლა ძნელია  
(თუმცა ახალ წელია),

მაგრამ უნდა ვიცოდეთ,  
რომ იქ „იმერეთია“  
და შიგ თავქარიანი—  
ვერც კი დათვლი რეთია.

მე ვერ წავალ ოზურგეთს,  
გეფიცები ქრისტე ღმერთს,  
იქ ბლომათ მყავს მტერები,  
(ტუტუცი და შტერები!)

კაცებს რომ შეურიგდე,  
ქალებს ვერ გადურჩები!..  
ჩემი ცრემლით მოირწყვის  
დაუგველი ქუჩები.

მე ვერ წავალ—ლესაში,  
ფული არ მაქ ს ქესაში  
და რით ჩამოვიშორო —  
ვინც გალანძღეს პრესაში?!  
ეფუთ მოვეჩვენები,  
ცხვირ-პირს შემოღესავენ  
მერმე, იგი მომარჩენს—  
იქ რო წამლებს ლესავენ?!

მე ვერ წავალ—ლანჩხუთში,  
შემიყვანებენ სულში  
და საქმის გარჩევის დროს —  
ჩამცხებენ თავის ღუღში!..  
შარიანი ხალხია,  
მუშტით ლაპარაკობენ!..  
რიონიც ვერ გამრეცხავს  
ისე კი შემამკობენ.

მე ვერ წავალ ბათუმში,  
ვერც სოხუმში, ვერც ფოთში!  
როგორ უნდა ვიცხოვრო  
მუდამ შიშში და შფოთში?  
ვიცი ერთხელ ტალღები  
გამაქანებს მძინარეს!..  
განა სატრფო მომიკვდა,  
თავი მივეცე მდინარეს?!

მე ვერ წავალ ჯუმათში  
და ვერც გურჯისტანში,  
თავი ხომ არ მომძულდა,  
ამ საშინელ ზამთარში?!  
რუსულ მაშკა ღორივით  
გავისვრები ტალახში,  
კაცად არ გამოვდგები  
რომც დაგებრუნდე ქალაქში.

ისევ ის სჯობს—ახალ წელს  
ჩავიკეტო კარები,  
(თორემ საჩუქრებისთვის  
მე სადა მაქვს ფარები?)  
რაც უნდა მიბრახუნონ  
არვის მივეკარები  
და როცა მომშივდება  
უკან გავიპარები.

იმდენს ვიზამ, ჩავძვრები  
სადმე ლეინის სარდაფში,  
მაგრათ გამოვითვრები  
ძველი წელის ალაპში  
და რომ გადაბრუტული  
მე იქიდან ამოვალ—  
მაშინ, ძმაო, თამამად  
გინდ სტამბოლში წამოვალ.

ხუმარა.

საახალწლო საჩუქრები.

(საოხუნჯო.)

გასწავლანტმა ერთგულებს ჩამოურიგა მენდლები,  
რომლითაც იმან შეამოგ — მათი გული და მკერდები:

კოწიას—სუდა ვირის თავი, რომელსაც ზედ აწერია:  
„უქლით ატარე, რადგან ხარ ჩემი დანჯი-მცველია;  
შენი ზატავი მე მახსოვს, მახსოვს არ დამვიწყებია,  
რისთვისაც სანამ ცოცხალვარ ერთგული გეუკლებია“.

ილიკო კუხალაშვილსა—ერგო ვირისა ფეხია,  
და ზურგზედ სატარებელათ იმ ვირის ძველი კეხია:  
ზედ აწერია: „მიუვარდი და რომ დამტოვე მწვერია,  
თუ მოგენატრო მიფრინე შეგრული ჭაკი ცხენია“.

ილია ჭანტურიასთვის—მისჭრა ვირს ენა, უურია,  
ზედ წააწერია: „გელაგ სთესე სოფელად მტრობა და შურია,  
მკერდით ატარე დღე და ღამე მავი „ორდენი-ჩინია“  
უგათესს ვერ ეღირსება, ვისაც აქვს შენებრ ტვირია“.

ლოკა ქყონიამ—მიიღო შემფურზედ ვირის კუდა...  
(მე ასე ვფიქრობ, ეგ „ზნაკი“ ნიშანი არის ცუდა:  
აღბათ იმ საქიმე დაღუპა, მოკლე რომა აქვს უხარ  
და მასთან შგონი აკლია უბედურს უურმთა სმენარ).

აგრე უხვათა უბოძა ერთგულებს საჩუქრება,  
გარდა ამისა იმთთვის მუდამ და აქვს კარა;  
უველას ალერსით ღებულობს, უცქერის თან ეტინება,  
რადგანაც იტის ამ „ჩინით“ არვის რა შექცისება.

ფუტკარი.

თვით გასწავლანტს — უუბოძებთ ვირის ზანდურს და ფოლფას  
ღირსი არ არის ეგ მსუტი კაცის გნით ჩაიქოლფას!  
თუ რასა ნიშნავს ეგ „ზნაკი“ — მაგას გაიგებს ბოლფას.  
ბეშტია.

ბ-ნო გამომცემელო!

თქვენ აღმანახ „ალიაქოთის“ მე-2 ნომერში  
მოთავსებულია ვინმე „ჯანდაბისაგან“ ჭიათურიდან  
ცნობანი, სადაც სხვათა შორის მეც მენება და  
ცილსა მდებს ტოლსტოის „წრის დაარსებაში“,  
ვინაიდან ჯანდაბის მიერ მოწოდებული ცნობა ჩემს  
შესახებ სიმართლეს მოკლებულია, წინადადებას ვა-  
ძლევ მას საჩქაროთ მიპასუხოს, რა მოსაზრებით და  
რის საბუთით ხელმძღვანელობდა, როდესაც თქვენ  
ამ ცნობას გაწვდიდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მე  
ყოველივე ზომებს მივიღებ მის წინააღმდეგ.

პ. ბუჩიძე.


მკითხველთა საყურადღებო.

რედაქცია აცხადებს პატივცემულ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ ნუ დაენდობიან იმ ცნობას, რომელიც მოგვაწოდა „ოზურგეთელმა ჭინკამ“ სახელდობრ: სცენა „მასწავლებელთა გაფიცვა ოზურგეთში“. ჩვენ ამ ინციდენტს გამოვიკვლევთ და პასუხს მოვსთხოვთ ავტორს, რით ხელმძღვანელობდა როცა ამ ამბავს ვგაწოდებდა.

აღმანახის რედაქცია.

ბოდიშს ვიხდით კორესპონდენტთა წინაშე, რომ მრავალი სახალწლო მასალები დაგვრჩია დაუბეჭდავი ადგილის ციკოტავის გამო. ზოგ მათგანს შეიდეგ მოვათავსებთ ხოლმე.

ვინც გამოგზავნის სამი აბაზის ფოსტის მარკებს, გაგზავნება მთელი გასული წლის აღმანახები, სულ 22 ნომერია.



„იმერეთლების“ ვალოცვა ახალ წელიწადს.